



არეშტი

სიასტუაბი

რიჩ მეტალს გრუპი

N 13 | აპრილი | 2015



კომპანია "არეშტი" თანამშრომლები ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებელი პაკეტით ისარგებლებენ, კომპანიის მედიკონებში კი მათ მალარკვანიფიციური ოჯახის ექიმი 24 საათის განმავლობაში მოემსახურება. ჯანმრთელობის ახალი დაზღვევის პროექტის პრაქტიკაში 2015 წლის 8 აპრილს, საწარმოს სააუზო დარბაზში გაიმართა. თითოეულ თანამშრომელს განახლებული სადაზღვევო პაკეტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა.

ახალი სადაზღვევო პაკეტი

ახალი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც "არეშტიმ" კომპანია "იმედი L"-თან გააფორმა, სადაზღვევო პირობები თითოეული თანამშრომლისთვის საგრძნობად გაუმჯობესდა. კერძოდ, გაიზარდა სადაზღვევო ღირებულებები, თანაგადახდის პროცენტული მაჩვენებელი ამბულატორიულ, ჰოსპიტალურ და მედიკამენტოზურ მომსახურებაში. სადაზღვევო ბარათში გაჩნდა ახალი პროექტი - სტომატოლოგია. კომპანიის თანამშრომლებს, სურვილის შემთხვევაში, განახლებული ვარიანტით, ოჯახის წევრების დაზღვევაც შეეძლებათ. "იმედი L"-ის გამოცდილი და მალარკვანიფიციური ექიმები 24 საათის განმავლობაში, ადგილზე

მოემსახურებიან "არეშტი გოლდისა" და "არეშტი კოპერის" თანამშრომლებს. საჭიროების შემთხვევაში ისინი კომპანიის პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას გაუწევენ, ასევე შეითავსებენ ოჯახის ექიმის ფუნქციებს და გამოწერენ საჭირო მედიკამენტების რეცეპტებს, ექიმთან ვიზიტისთვის საჭირო მიმართვებსა და სხვა.

ამ ეტაპზე საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი სამედიცინო პუნქტი. ჯანმრთელობის დაზღვევის პროექტის ფარგლებში, მოხდება მათი განახლება და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოწყობა. მედიკონებში განთავსდება პირველადი დახმარებისთვის საჭირო აღჭურვილობა და მედიკამენტები. ჯანმრთელობის ახალი დაზღვევის

პროექტის ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ მედიკონებში ყველა საჭირო პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ კომპანიის თანამშრომლებმა დროის ნებისმიერ მონაკვეთში სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება მიიღონ. კომპანია "არეშტის" ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა და სიცოცხლე სადაზღვევო კომპანია "ადეგში" 2007 წლიდან არის დაზღვეული. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას თანამშრომლებისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას უთმობს. **მიხეილ კვარაცხელია ("არეშტის" ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი)** - "ჩადგან კომპანიაში საწარმოო პროცესი 24 საათის განმავლობაში

გაგრძელდება შემდეგ გვერდზე

მიმდინარეობს, სადაზღვევო კომპანიის ერთი ექიმი მუდმივად იქნება წარმოდგენილი. კომპანიაში არსებული სამედიცინო პუნქტების როგორც იერ-სახე, ასევე ავეჯი და ინვენტარი უკვე მოძველებული იყო და აღარ შეესაბამებოდა სამედიცინო ნორმებს. ამიტომ, პროექტი სამედიცინო პუნქტების საერთო მდგომარეობისა და იქ არსებული პირობების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებს.

მარიამ წიკლაური ("არემტის" დაზღვევის კოორდინატორი) - "არემტის" მენეჯმენტისთვის უმთავრეს საზრუნავს თავისი



დასაქმებული თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, არაერთი ნოვატური მეთოდი მუშაობს და დაგეგმილია არსებული პროექტების ამუშავება. ჩვენს თანამშრომლებს ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული, სრულყოფილი, განსხვავებული პროგრამა წარუდგინეთ, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას. "არემტის" ხელმძღვანელთათვის თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ერთ-ერთი პრიორიტეტულია. დაზღვევაში ჩაიღო ისეთი დაფარვები, როგორიცაა ორსულობა, სტომატოლოგია, გეგმიური ოპერაციული მკურნალობა, დაზღვევამდე არსებული დაავადებები. ყველა თანამშრომელს ეძლევა საშუალება იდენტური სადაზღვევო პირობებით დააზღვიოს



საკუთარი ოჯახის წევრები, რომელთა დაზღვევაზეც მოქმედებს არასტანდარტული საფასო პოლიტიკა, რაც ბევრად განსხვავდება ინდივიდუალური დაზღვევის პირობებისგან. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კომპანიის მენეჯმენტი სამომავლოდ არაერთ მნიშვნელოვან სასიკეთო შეთავაზებას გაუკეთებს თავის თანამშრომლებს და ბაზარზე დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც მზრუნველი კომპანია, რომლის უპირველესი მისია თანამშრომელთა კეთილდღეობაა".

დიმიტრი დათუსანი ("იმედი L"-ის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი) - "საწარმოში ექიმთა ჯგუფი 24-საათიან რეჟიმში

მუშაობს. ისინი მომუშავე თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგსა და პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევას უზრუნველყოფენ. მერწმუნეთ, მსგავსი მიდგომა ქართულ ინდუსტრიულ ბაზარზე არცთუ ისე ბევრ კომპანიას აქვს. ახალი სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, მინიმუმამდეა დაყვანილი უშუალოდ თანამშრომლის თანამონაწილეობა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებაში. ჩვენი ჯგუფი მზადაა იდენტური პირობებით მოემსახუროს კომპანიის თანამშრომლების დაზღვეული ოჯახის წევრებსაც".



უკვე რამდენიმე კვირაა, რაც კომპანია "არემჯიში" გარემოსდაცვითი აუდიტის პირველი ეტაპი მიმდინარეობს. კომპანიის ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის, მიხეილ კვარაცხელიას განმარტებით, ამჟამად აუდიტორების მიერ მონაცემთა შეგროვება და დოკუმენტაციის გაცნობა მიმდინარეობს. "ჩატარდა ერთი გაცნობითი ვიზიტი ორივე კომპანიის საწარმოო უბანზე, სადაც აუდიტორების გუნდი ზოგადად გაეცნო ჩვენი კომპანიების საწარმოო პროცესებს, ტექნოლოგიურ ციკლს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და დამხმარე მეურნეობები. ჩვენს მიერ მოხდა აუდიტორების მიერ წარმოდგენილი აუდიტის სპეციალური კითხვარის შევსება და მათთვის მიწოდება"- განაცხადა კვარაცხელიამ.

მეორე ვიზიტისას ქართველ აუდიტორებთან

ერთად საწარმო უკრაინელებმა კონსულტანტებმა- გრიგორი შმატკოვმა და ირინა ნიკოლაევამაც მონაზღერეს. მოხდა საწარმოების დეტალური შემოწმება- დათვალიერება. გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებთან, როგორც ხელმძღვანელ პირებთან, ისე რიგით დსაქმებულებთან.

"ვიზიტის დროს განისაზღვრა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია აუდიტის სრულფასოვნად ჩასატარებლად. ამჟამად, ჩვენი სამსახური მუშაობს აღნიშნული დოკუმენტაციის შეგროვებაზე აუდიტორთა გუნდისთვის მისაწოდებლად,"- აღნიშნა მიხეილ კვარაცხელიამ.

უახლოეს პერიოდში აუდიტის ფარგლებში დაგეგმილია კიდევ ერთი სამუშაო ვიზიტი საწარმოს დამხმარე მეურნეობაში (ავტოფარეხები, ავტოგასამართი სადგურები, მექანიკური



სამშენიშნები, საწყობები და ა.შ.) შეგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის მიზანია გარემოსდაცვითი მაჩვენებლების დამოუკიდებელი შეფასება შპს „არემჯი გოლდისა“ და სს „არემჯი კოპერის“ კუთვნილ სამთო-მოპოვებით საწარმოებში. 6-თვიანი პერიოდის მსვლელობის დროს 18 კაციათი ჯგუფი, რომელიც მალაქკვადიფიციური და საერთაშორისო ექსპერტებით არის დაკომპლექტებული, საფუძვლიანად შეისწავლის, თუ რა ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე საწარმოო პროცესები, შეიმუშავენ და დაგეგმავენ შესაბამის რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს.



„არემჯის“ თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფი პრეზიდენტის რეზიდენციასთან

მანანა მიქელაძემ.

"პრეზიდენტთან ვითხოვთ შეხვედრას და გვინდა გაგვარკვიოს, რა კონსულტაციები მიეღოდა არასამთავრობოებთან, "ნაციონალური მოძრაობასთან" და "თავისუფალ დემოკრატიებთან". თუმცა, ჩვენ ვიცით, რა კონსულტაციებიც მიეღოდა. ეს იყო თანამშრომლებს შორის საბოლქოს მოწყობისთვის გამართული კონსულტაციები. ჩვენი აზრით, ან არასწორად არის ინფორმირებული ამ საკითხზე, ან მხოლოდ არასამთავრობოების პრეზიდენტი"- განუცხადა მედიას "არემჯის" თანამშრომელმა გიორგი ნასყიდაშვილმა.

საბოლოოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მისაღებად, თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე ბესო აბაშიძე და პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენლები შეხვედრენ, რომლებმაც თანამშრომლებს სთხოვეს, რომ წერილობით მიემართათ, თუ რის საფუძველზე სურდათ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრა.

"ჩვენ გვინდოდა პრეზიდენტთან შეხვედრა, რომ სიმართლე გვეთქვა. საათზე მეტხანს ვდოდე, მაგრამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტი არ გვხვდება. ადბათ, მას სიმართლის მოსმენა არ უნდა. უკვე გასაგებია ყველაფერი, რომ მას ჩვენთან შეხვედრა არ სურს. მან კიდევ ერთხელ

დამტკიცა, რომ არის არასამთავრობოების, "ნაციონალებისა" და "დემოკრატიების" პრეზიდენტი. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. აქ ყოფნას აზრი აღარ აქვს,"- განაცხადა საწარმოს თანამშრომლებმა.

ავღაბის რეზიდენციის დატოვების შემდეგ, კომპანიის თანამშრომლებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია: "უკვე რამდენიმე თვეა, გვსურს გავესაუბროთ პრეზიდენტს და პირადად მოვუყვებთ იმ პრობლემების შესახებ, რომელიც ბოლო რამდენიმე წელიწადია დაბა კარეთსა და მთლიანად ბოლნისის რაიონს აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეორეჯერ ვიმყოფებით მის რეზიდენციასთან და ვითხოვით შეხვედრას, მან არც დღეს ინება ჩვენი მიღება და მოსმენა. არ შეგვხვდა ათას კაცს, არ შეგვხვდა 8 კაცს, მაშინ როდესაც უპრობლემოდ და პირადად ხვდება იმ გრანტიჭამია არასამთავრობოებს, რომლებმაც მას ცადმხრივი ინფორმაცია მიაწოდეს. ის უარს აცხადებს მშრომელ ხალხთან შეხვედრაზე, რომ მოისმინოს მეორე მხარის პოზიცია. გამოდის, რომ ის მხარს უჭერს იმ ვიწრო ორგანიზაციებსა და პარტიებს, რომელთა მიზანი ქვეყანაში სოციალური აფეთქების მოწყობა და ქვეყნის პარალიზებაა."

საპროდესტო აქცია კაზრეთში

15 აპრილს, კომპანია "არემტის" თანამშრომლებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაბა კაზრეთში აქცია გამართეს, სადაც პარდამენტის მიერ საყდრისთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის განხილვა გააპროტესტეს. კომპანიის თანამშრომლები პოლიტიკურ ძალებს, "ნაციონალური მოძრაობასა" და "თავისუფალი დემოკრატების" მოუწოდებდნენ, რომ წარმოებას თავი დაანებონ და დასაქმებულებს მუშაობის საშუალება მისცენ. "აქ ვერც ერთი ადამიანი ვერ ჩამოვა, რომ თქვას, კომპანია უნდა გაჩერდეს. რა კომისიაზე საუბარი?! მოვიდნენ და გაგვცენ პასუხი. ჩვენზე უკეთესად არავინ იცის, რა იყო საყდრისი. იყო ერთი ბორცვი, რომელსაც ორი ნაპირადი ჰქონდა და ამ ნაპირებს ნუ გადაყრდებენ მთელ საქართველოს",- განაცხადა კომპანიის თანამშრომელმა გია მუშკუდიანმა. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ავთანდილ ბაქრაძის აზრით კი, ხსენებული პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებენ

და სხვა არაფერი. "ნაციონალური მოძრაობასა" და "თავისუფალი დემოკრატების" უნდათ სანარმოები გააჩერონ, ხალხი მშვიდი დატოვონ და მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყინონ. რა საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას?! რით ვერ დამთავრდა ყველაფერი?! თუკი 50000 წლის წინ ვილაც ოქროს ამუშავებდა, დღეს რატომ არ აქვს ქართველ ხალხს ამის უფლება?! ოქრო სანამ მიწაშია, მას ფასი არ აქვს!" - აღნიშნა ბაქრაძემ. სანარმო თანამშრომლებისა და ადგილობრივების აქციას ორი არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა. "განათლებისა და სოციალური პროექტების" ხელმძღვანელმა ია ხაფთაძემ განაცხადა, რომ "არემტის" კეთილი ნება გამოიჩინა და ორგანიზაციას კუდურის, განათლებისა და სხვა პროექტების განხორციელებაში ეხმარება. "საქართველოს ეკოლოგიური ბილიკის ასოციაციის" ხელმძღვანელმა ზურაბ მჭედლიძემ ისაუბრა "არემტის ჯგუფის" მიერ დაბაში განხორციელებულ პროექტებზე და



პოლიტიკურ ძალებს სხვადასხვა ქმედებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. "გამორჩევა, რომ საყდრისის კომიტეტის უკან "ნაციონალური მოძრაობა" და "თავისუფალი დემოკრატები" დგანან. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, რომ თავი დაანებონ დაბას და ხალხი ამუშაონ. კომპანიამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა და ბევრი რამ დაასპონსორა."-აღნიშნა მჭედლიძემ. "არავის არ ესაქმება ჩვენს რაიონში. ხალხმა უნდა იმუშაოს. დაგვანებონ თავი და საერთოდ, ბოლნისის რაიონი არ ახსენონ. არავითარი ძეგლი არ იყო იქ. მაგათ შეტკივთ გული ბოლნისზე და ბოლნისელებს არა?!"- განაცხადა აქციის მონაწილემ დია აჭაიშვილმა.



"არემტის" კაზრეთის ქორეოგრაფიული ანსამბლ "მართვეს" მოსწავლეებს ცეკვის მაისურები გადასცა საჩუქრად, რომლებზეც სტუდიის სპონსორობის ნიშნად „მართვეს“ სიმბოლოსთან ერთად კომპანიის ღოგოც არის დატანილი. "მართვეს" ქორეოგრაფმა გივი ტატიშვილმა, ბავშვებთან და მშობლებთან ერთად "არემტის" კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ასეთი თანადგომისა და ყურადღებისათვის. **გია ტატიშვილი (ანსამბლ "მართვეს" ქორეოგრაფი)**- აღბათ, სიტყვა მადლობა საკმარისი არ არის მადლიერების

"არემტის" საჩუქარი ანსამბლ "მართვეს"

გამოსახატავად ყველა იმ საქმისთვის, რასაც კომპანია აკეთებს ჩვენი ანსამბლისთვის. თებერვლის თვიდან ჩვენ გვაფინანსებს

"არემტი", ამას ემატება ისიც, რომ ყველა ჩვენი გასვლითი ღონისძიების ხარჯებს (საწვავის სახით) ფარავს კომპანია. ამის შემდეგ კი კომპანიამ კიდევ ერთი სიურპრიზი გაგვიკეთა და სტუდიისა და ანსამბლის ყველა მოცეკვავეს დაურიგა მაისურები. მისი ჩაცმა საამაყო იქნება არა მხოლოდ სავარჯიშო დარბაზში, არამედ გასვლით ტურნეებზეც. მიიღა დიდი მადლობა გადაუხადა "არემტის", თუნდაც იმ მოტივაციისთვის, რაც თავისი საქმიანობით შემატეს ბავშვებს. კომპანიის დაფინანსების შემდეგ ჩვენ

გვქონდა პირველი გასვლითი შეხვედრა, სადაც უნდა მოგვეპოვებინა სახალხოობის დიქციონა. კომპანიის კეთილი საქმეები მხედველობიდან არ გამოჩენია საქართველოს ქორეოგრაფიულ კავშირს და ქართული ხალხური ცეკვების ხელშეწყობის მიზნით მადლობის წერილი გამოუგზავნეს "არემტის". კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!" **ეკა გორგაძე (მშობელი)** - "ჩემი შვილი ჯერ სტუდიაში დადის. როდესაც გავიგეთ რომ "არემტი" აფინანსებდა, გაგვიხარდა, რადგან დიდი შეღავათია უკვე თითოეული ოჯახისთვის. ასევე, ჩემთვის ცნობილია, რომ ანსამბლის გასვლით ტურნეებს საწვავით უზრუნველყოფს კომპანია. აღბათ ნახეთ, თუ რამხელა სიხარული იყო დღესაც, როდესაც მაისურები არქუქს ანსამბლის მოცეკვავეებს. პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ".

